ჰარმონიული ინტერაქციის მოდელი უსინათლო და ღრმა გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვსა და მის მზრუნველს შორის

სალომე ცხვიტავა

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, პროფესორი

ნინო გოგიჩაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ცხვიტავა

25.06.2021

მადლობა

მადლობას ვუხდი ხელმძღვანელებს, პროფესორ ნინო ცინცაძეს და ნინო გოგიჩაძეს, მხარდაჭერის, ყურადღების, ღირებული და მნიშვნელოვანი უკუკავშირის, რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის.

აბსტრაქტი

უსინათლო ბავშებთან, მშობლებსა და აღმზრდელებს ხშირად აქვთ სხვადასხვა გამოწვევები, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ნაკლები ყურადღება ექცევა მსგავს სირთულეებს, გადავწყვიტეთ გადაგვეხედა სხვა ქვეყნების გამოცდილებებისთვის და მოგვერგო საქართველოს რეალობისთვის.

კვლევისათვის არჩევანი შევარჩიეთ ერთ-ერთ მოწინავე მიდგომაზე, რომელიც განსაკუთრებულად მორგებულია უსინათლო-ყრუ ბავშვებისა და მათი მზრუნველების კომუნიკაციური სირთულეების გამოსასწორებლად.

ჰარმონიული ინტერაქციის დიაგნოსტიკური მოდელი

კვლევისთვის შევარჩიეთ 11 წლის უსინათლო, ღრმა გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვი. დედის გადმოცემით მას და ბავშვს აღენიშნებათ სირთულეები კომუნიკაციაში აქედან გამომდინარე, გამოთქვა სურვილი ჩართულიყო ჩვენს კვლევაში. კვლევა სრულად იმეორებს ჰარმონიული ინტერაქციის მოდელის საფეხურებს.

შეფასების შემდეგ კვლევის ჰიპოთეზად განისაზღვრა-ვიდეო ჩანაწერების გამოყენებით ჰარმონიულ ინტერაქციაზე ფოკუსირება, აუმჯობესებს ინტერაქციას პარტნიორებს შორის.

კვლევა მოცავდა 2 თვის პერიოდს - ინტერვენციისთვის განისაზღვრა სამი, ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში გადაღებული ვიდეო, რომლის ანალიზიც მოხდა დედასთან ერთად.

მიუხედავად რიგი კვლევის შეზღუდვებისა ჩვენს მიერ განსაზღვრული ჰიპოთეზა გამართლდა და პოზიტიური ცვლილებები დაფიქსირდა მიზნად აღებული 4 კოდიდან 3 კოდში. ცვლილებები არ გვქონდა მხოლოდ ინიციატივების ნაწილში.

კვლევის ბოლოს მოხდა პირველი და შემაჯამებელი ვიდეოების შედარება, სადაც შევადარეთ ჰარმონიული ინტერაქციით განსაზღვრული 8 კოდი. აღმოჩნდა რომ 8 კოდიდან 4 კომპონენტში გვქონდა ზრდა.

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში მოხდა დედის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ჰარმონიული ინტერაქციის მოდელის შესახებ,ასევე მშობელს შესაძლბლობა

ექნება რეკომენდაციები განავრცოს და სამომავლოდ გამოიყენოს ბავშვთან კომუნიკაციაში.

Abstract

Blind children, their parents, and caregivers often encounter different challenges, as less attention is paid to similar difficulties in Georgia, we decided to examine the experiences of other countries and adapt them to the Georgian reality.

we opted for one of the most advanced approaches that is particularly tailored to address the communication difficulties of deaf-blind children and their caregivers.-Harmonious Interactions Diagnostic Model

For the study, we selected a child, 11-year old boy „L", with blindness and profound intellectual disability.According to the mother, she has difficulties in communicating with her child, therefore she expressed a desire to be involved in our research. The study fully replicates the harmonic interaction model.

After the evaluation,the research hypothesis was formed — focusing on harmonious interaction using video recordings, improves interaction between partners.

The study covered a period of 2 months- Three videos taken in the natural environment for the child were identified for the intervention, which was then analyzed with the mother.

Despite several research limitations, the hypothesis presented by us was proventrue, as positive changes were identified in 3 of the 4 target codes.We did not have changes only in the part of the initiative.

At the end of the study, the first and summary videos were compared, where we compared the 8 codes defined by the harmonic interaction.It turned out that we had an increase in 4 components out of the 8 codes.

This paperwas informative for the mother and raised awareness about the model of harmonious interaction, the parent will also have the opportunity to extend the recommendations and use them during communication with the child in the future.